პროექტი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №

2023 წლის ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” 2018 წლის 5 ივლისის №3024-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/90 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 09/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.054.016119) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

1. **მე-8 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ტ) ადგენს საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების პირობებს, ასევე ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების განსაზღვრისა და მიცემის წესს“.

2. **31 -ე მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 31. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები და აკადემიური წოდებები

1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დაცვით.
2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, კონსერვატორიის ან/და მეცნიერების ან/და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის შეიძლება მიენიჭოს კონსერვატორიის საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.
3. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას აკადემიური საბჭო იღებს რექტორის ან ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ხოლო ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას – ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
4. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება პირს, რომელიც ამ წოდების მინიჭების შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არის 65 წლის ან მეტი ასაკის და არის კონსერვატორიის აფილირებული პროფესორი. გამონაკლისია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები.
5. ემერიტუსის წოდების მქონე პირს კონსერვატორიაში იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობა.
6. საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების პირობები განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ.
7. ემერიტუსის წოდების მქონე პირს შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება, რომლის ოდენობა და გაცემის პირობები დგინდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი